9 აპრილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეა!

ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

6 აპრილი
ხუთშაბათი
2023 წელი
№15 (9277)
ფასი 40 თეთრი

31 მარტის რეფერენდუმი

- ზუსტად 32 წლის წინ სრულიად საქართველოს მოსახლეობამ მსოფლიოს გასაგონად განაცხადა, რომ მხარს უჭერს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. სწორედ 31 მარტის რეფერენდუმის შედეგები დაედო საფუძვლად უზენაესი საბჭოს მიერ 1991 წლის 9 აპრილს დამოუკიდებლობის აქტის მიღებას.

ეს დღე სამაგალითო გახდა საქართველოს უახლეს ისტორიაში სამოქალაქო ერთსულოვნების თვალსაზრისითაც. ჩვენი მრავალეთნიკური ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გამართულ რეფერენდუმზე ჩვენმა ხალხმა, აფხაზი და ოსი თანამოქალაქეების ჩათვლით, მხარი დაუჭირა დამოუკიდებელი საქართველოს იდეას.

კიდევ ერთი მიზეზით არის 31 მარტი ღირსშესანიშნავი, - დღეს რეფერენდუმის სულისჩამდგმელის, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სიმბოლოს, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას 84-ე დაბადების დღეა.

31 მარტის რეფერენდუმი ჩვენს ისტორიაში დარჩება მოვლენად, რომელმაც მყარი საფუძველი ჩაუყარა დამოუკიდებელი, თანამედროვე, ევროპული სახელმწიფოს მშენებლობას, იმ მიზნისკენ სვლას, რომელიც ქართველთა ყველა თაობას აერთიანებს, წერს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი

საინფორმაციო შეხვედრა - „არა ფემიციდს“

სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის პროკურორმა **ბარბარა ჩხეიძემ,** კამპანიის - „არა ფემიციდს“ ფარგლებში, ბორჯომის თვითმმართველობის წარმომადგენლებთან საინფორმაციო შეხვედრა გამართა.

საინფორმაციო შეხვედრას ასევე ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **გიორგი ტაბატაძე** და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი ფერაძე** ესწრებოდნენ.

პროკურატურის წარმომადგენელმა ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის, ოჯახში ძალადობის, სქესობრივი დანაშაულებისა და ფემიციდის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით პროკურატურის მიერ განხორციელებული ღონისძიებებისა და არსებული გამოწვევების შესახებ ისაუბრა.

ღონისძიებაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ქალთა გენდერული ნიშნით მკვლელობების გამომწვევ მიზეზების და გენდერული სტერეოტიპების განხილვას.

საინფორმაციო კამპანია - „არა ფემიციდს“ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს და გაეროს ქალთა ორგანიზაცია UN W-ის მხარდაჭერით მიმდინარეობს, რომლის მიზანია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ფემიციდის დანაშაულების პრევენცია.

საგაზაფხულო დასუფთავებითი სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს

ბორჯომის ცენტრალურ (ისტორიულ) პარკში უკვე დაიწყო საგაზაფხულო დასუფთავებითი სამუშაოები, რაშიც, ინტენსიურად ჩართულები არიან პარკის თანამშრომლები.

მიკრომეწარმეობის განვითარებას - ყურადღება!

„მეწარმეობის პრაქტიკული კურსი - როგორ დავიწყოთ და განვავითაროთ სოფლად ბიზნესი“ - ამ თემაზე ბორჯომის მუნიციპალიტეტში მეწარმეებთან და მეწარმეობით დაინტერესებულ პირებთან შეხვედრა გაიმართა.

ღონისძიების ფარგლებში ტრენინგის მონაწილეებს აღნიშნული პროექტი ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერმა **ოთარ არბოლიშვილმა,** აგრარულ საკითხთა კომიტეტის წარმომადგენელმა **ნინო ქორიძემ** და სსიპ აწარმოე საქართველოში მიკრო მეწარმეობის განვითარების დეპარტამენტის უფროსმა **ანა უგულავამ** წარუდგინეს.

საინფორმაციო შეხვედრაზე სსიპ „აწარმო საქართველოში“ მიკრო მეწარმეობის განვითარების დეპარტამენტის უფროსმა **ანა უგულავამ** დეტალურად ისაუბრა პროგრამის პირობებსა და მონაწილეობის შესახებ. მისივე თქმით, 3 აპრილიდან საგრანტო პროგრამაზე ბიზნესიდეების მიღება იწყება!

სასწავლო კურსის მიზანია მეწარმეობის შესახებ თეორიული ცოდნის ამაღლება, სახელმწიფო პროექტების შესახებ ინფორმაციის გაზიარება და ბიზნესის წარმოების პრაქტიკული უნარების გაძლიერება. პროექტი ხორციელდება საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების თანამშრომლობით, „სსიპ აწარმო საქართველოში“ და ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით.

ტრენინგი ფინანსური, მენეჯერული, [illegible]

ს.ს.ი.პ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებმა - **მარიამ დავითაშვილმა** და **გიორგი ქაჩლიშვილმა** გამართეს ტრენინგი თემაზე - **„ცივი ჯაჭვის სისტემა, იმუნიზაციის მარაგების მართვის მოდულში მუშაობის პრინციპები“.**

ტრენინგს ააიპ-ბორჯომის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი **მანანა რატიანი,** საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის თანამშრომლები და ბორჯომის მუნიციპალიტეტის სამედიცინო დაწესებულებებში დასაქმებული მედიკოსები ესწრებოდნენ.

სარეაბილიტაციო სამუშაოები გრძელდება

ბორჯომში, კოსტავას ქუჩაზე, სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს.

პროექტის ფარგლებში, 4900 კვადრატულ მეტრზე ასფალტის საფარი დაიგება, 260 კვადრატულ მეტრზე მოეწყობა გრანიტის ძელურები, ხოლო 344 გრძივ მეტრზე მოეწყობა გრანიტის ქვაფენილიანი ტროტუარი. პროექტი ასევე ითვალისწინებს მიწისქვეშა სანიაღვრე არხის მოწყობას 329 გრძივ მეტრზე.

ამ დროისათვის სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს.

კოსტავას ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ფინანსდება.

სამუშაოებს შპს „ბილტმორი“ ასრულებს.

მიმდინარე წელს ბორჯომში, რუსთაველის ქუჩების №85, №91 და №93-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების რეაბილიტაცია იგეგმება. სარეაბილიტაციო სამუშაოები 1 აპრილიდან დაიწყება.

პროექტის ფარგლებში, სრულად განახლდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადი, შეიცვლება სახურავი, აივანი და კარ-ფანჯარა, მოეწყობა დეკორატიული ელემენტები.

საკურორტო ქალაქის იერ-სახის გალამაზება, მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, შესაბამისად საცხოვრებელი სახლების ფასადების, სადარბაზოების და მიმდებარე ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია მომავალშიც იგეგმება.

ფასადების რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში, 2020-2022 წლებში ჯამში, 11 მრავალბინიან საცხოვრებელ სახლის ფასადის რეაბილიტაცია განხორციელდა.

ბორჯომის თოჯინების თეატრში სარემონტო სამუშაოები უახლოეს მომავალში დასრულდება.

სარემონტო სამუშაოების ფარგლებში, შეიცვალა დარბაზისა და ფოიეს ინტერიერი.

ბორჯომის თოჯინების თეატრის სარემონტო სამუშაოებს საქართველოს თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრების გაერთიანება აფინანსებს.

დრო ვიმოქმედოთ მთავრობის დადგენილების შესასრულებლად!

ამ რამდენიმე დღის წინათ საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, სადაც გარკვევით და გასაგებად წერია, რომ „საქართველოში ყველა დონის ხელისუფლებამ იზრუნოს საკუთარ ტერიტორიაზე არსებული დანგრეული ან ამორტიზებული შენობა-ნაგებობების აღებისა და ამ ტერიტორიების კეთილმოწყობისათვის“.

ამ მხრივ ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა-სოფლებში საკმაოდაა უპატრონო, დანგრეული და ამორტიზებული შენობა-ნაგებობები, რომლებიც მნიშვნელოვნად აუარესებს ბორჯომის ხეობის საკურორტო ზონის იერსახეს.

ახლა მთავარია აღნიშნული დადგენილება შენობა-ნაგებობების მეპატრონეებს გავაცნოთ, რათა მათ საკუთრებაში არსებული უმოქმედო, ამორტიზირებული შენობა-ნაგებობების აღდგენა და ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეძლონ, რომელიც ითვალისწინებს ობიექტის ამოქმედებას, პროდუქციის გამოშვებას და მოსახლეობის დასაქმებას. თუ აღდგენა არ შეუძლიათ, ობიექტი გაყიდონ, გაასხვისონ ან იზრუნონ ამორტიზებული შენობების სრული ლიკვიდაციისათვის.

საინტერესოა, რა ვითარებაა ამ თვალსაზრისით ბორჯომის მუნიციპალიტეტში?!

ავარიული სახლი დუმბაძის ქუჩაზე

ნამდვილად არასახარბიელო სიტუაციაა. ამ პრობლემასთან დაკავშირებით გაზეთ „ბორჯომი“ არაერთხელ წერდა, მაგრამ ვითარება ოდნავადაც არ შეცვლილა. დავიწყოთ, ახალდაბის ყოფილი საავტომობილო მაგისტრალის მარჯვენა მონაკვეთიდან, სადაც თითქმის 30 წელია ანგრევენ ყოფილი საავეჯო ფაბრიკის სასაწყობო მეურნეობის შენობას, მაგრამ ვერაფრით მიიყვანეს საქმე ბოლომდე. ნუთუ ასე ძნელია ამორტიზებული შენობის დანგრევა და ტერიტორიის კეთილმოწყობა?

ახალდაბის ცენტრში, ადმინისტრაციული შენობის გვერდით, ერთ დროს შესანიშნავი რესტორანი მოქმედებდა, იქვე იყო მაღაზია და პურის საცხობი, ახლა იქაურობა გაპარტახებულია, ასევე მწყობრიდანაა გამოსული ყოფილი პიონერთა ბანაკების შენობები, სკოლა-ინტერნატის შესანიშნავი კორპუსები, ხოლო რკინიგზის სადგური ზაფხულობით პრუტყვის სადგომადაა გადაქცეული, ამ ობიექტებს ყველას ყავს პატრონი, ოცდაათი წლის წინათ პრივატიზებული ობიექტები კაპიკებში შეისყიდეს, იმ დროს არსებული კანონმდებლობით შეძენილი ობიექტი მყიდველს ორ-სამ წელიწადში უნდა აღედგინა და ხალხიც დაესაქმებია, მეოთხედი საუკუნე მიილია და გაპარტახებული ობიექტები კვლავ „ამშვენებენ“ მუნიციპალიტეტის დაბა-სოფლებს.

თვით ქალაქ ბორჯომში არსებული ყოფილი სასტუმრო „ბორჯომი“ და მისი ტერიტორია რამდენჯერმე გაიყიდა, მის აშენებას საშველი არ დაადგა, გაპარტახდა ყოფილი „ლიკანის“ საბაზო სანატორიუმის პირველი და მეორე კორპუსის უნიკალური შენობები, პლატოზე კომპოზიტორთა შემოქმედებითი სახლი, წლებია გამოკეტილია ტურბაზა „პლატო“. ათეულობით წელია პატრონს ელის ყოფილი კურორტის სატვირთო ავტოსაწარმოს, ყოფილი პურკომბინატის, ყოფილი კურორტის ავტოსაწარმოს ტერიტორიები, ჭობისხევში მიტოვებული და მთლიანად გაპარტახებულია ხილ-ბოსტნეულის უნიკალური სასაწყობო მეურნეობა, წაღვერში ყოფილი რკინიგზელთა პიონერთა ბანაკის შენობები, ყოფილი „საქსოფლტექნიკის“ და სამოქალაქო თავდაცვის ობიექტები. ალბათ მცირეოდენი სიმძლავრის მიწისძვრაც საკმარისი იქნება, რომ ჩამოიქცეს ყოფილი წისქვილქარხნის ელევატორის მაღლივი კორპუსი, ერეკლეს ქუჩაზე და არდაგანში არსებული მრავალსართულიანი სახლების დაუმთავრებელი შავი კორპუსები, ასევითვე მიტოვებული და გაპარტახებული შენობები ჩვენს მუნიციპალიტეტში სხვაც ბევრია, ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია. ისიც უნდა ითქვას, რომ დღეს ბორჯომში ერთ მტკაველ მიწას ვერ ნახავთ თავისუფალს, ყველა კუთხე-კუნჭული გაყიდულია, მაგრამ აუთვისებელია. თვით ბორჯომში მტკვრის მარჯვენა სანაპირო მთლიანად გაყიდულია ზაქარია ფალიაშვილის ძეგლიდან „მტრედის“ ხიდამდე. არადა, მერია რომ იტყვიან, გამადიდებელი „ლუპით“ ეძებს თავისუფალ ტერიტორიას ამორტიზებული კულტურის სახლის, სპორტსკოლის ან სპორტის სასახლის, ახალგაზრდობისათვის კულტურულ-გასართობი ცენტრის ასაშენებლად. (ლიკანში დიდი წვალებით გამოიძებნა პროფსასწავლებლის ასაშენებელი მცირედი ტერიტორია).

ზემოთ ჩამოთვლილ და სხვა ტერიტორიებსაც ყავს მეპატრონე ანუ შემსყიდველი, ალბათ ისინი აქეთ შემოგვედავებიან, - ვიყიდე და პირადი ქონების ხელყოფის უფლება არავის აქვსო და მართლებიც იქნებიან. ზოგიერთს დიდი სურვილიც აქვს საკუთრებაში არსებული ობიექტი ააშენოს, კეთილმოაწყოს, მაგრამ... ზოგს თანხა არ აქვს, ზოგმა არც იცის, რა ააშენოს, არ იციან ბიზნესის კეთება და მისი მართვა. ბევრმა ბანკიდან სესხი აიღო და თანხა შემოეხარჯა და ახლა ვალებშია, ზოგს გაპარტახებული ობიექტი იაფად გასაყიდად არ ემეტება და მდიდარი ინვესტორის მოლოდინშია, ზოგისთვის რომ იტყვიან, „ჭიანი ტყემლის“ ფასი აქვს სოფლის თუ ქალაქის იერსახისათვის ზრუნვას, გაპარტახებული ტერიტორიის მოსაწესრიგებლად თითსაც არ არყევს, „გარედან მტერს უბრმავებს თვალებს და შიგნით მოყვარეს“. კი მაგრამ, როდემდე ბატონებო, ვიცით, ყველას უნდა მუნიციპალიტეტის დაბა-სოფლების და ქალაქის კეთილმოწყობა, ინფრასტრუქტურული პროექტების ფართოდ განხორციელება, საკურორტო და ტურისტული ობიექტების თანამედროვე დონეზე აშენება, მაგრამ ყველა ვერ გრძნობს საკუთარ პასუხისმგებლობას მშობლიური ქალაქის თუ დაბა-სოფლის წინაშე.



დაუმთავრებელი სახლი არდაგანში

ყოფილი სასტუმრო „ბორჯომის“ ტერიტორია

მიგვაჩნია, ცენტრალური ხელისუფლების მეტად მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ბორჯომში კონკრეტული და სასიკეთო ნაბიჯები მოყვება და ერთხელ და სამუდამოდ სახელმწიფოებრივი წესრიგი დამყარდება მიტოვებულ და გაპარტახებული შენობა-ნეგებობების პრობლემის გადაწყვეტის საქმეში.

თემურ ხუხუნაიშვილი,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი,
ვალერიან ლომაძე,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, გაზეთ „ბორჯომის“ რედაქტორი.

ჩვენი ხეობის წარსულიდან

კურორტ ბორჯომის დაარსების ისტორიისათვის

ბორჯომის მინერალური წყლების გამოყენების ისტორია, როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური მიზეზების გამო დეტალურად შეუსწავლელია. ამის უმთავრესი მიზეზი უნდა ვეძებოთ საუკუნეების მანძილზე წარმოებულ ომებში და ბუნებრივ კატაკლიზმებში. ამ უკანასკნელის მომსწრე ჩვენი თაობაცაა.

მიოცენურ პერიოდში (ორი ათეული მილიონი წლის წინათ) სამხრეთ კავკასიაში ზღვა გაქრა და მთელი კავკასიის მხარე ხმელეთმა დაიკავა. 5 მილიონი წლის წინ უკვე ჩამოყალიბდა დღევანდელი გეოგრაფიული კონტურები. მინის წიაღში წარმოიშვა სხვადასხვა სახის მინერალური წყლები, როგორც თბილი ასევე ცივი. ნაკლებად, მაგრამ მაინც გრძელდებოდა ვულკანური ამოფრქვევები. ამგვარად ბორჯომის ხეობის მინერალურ წყლების ისტორია მილიონობით წლებს ითვლის.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხია მათი სამკურნალოდ გამოყენება.

ბალნეოლოგიური მეცნიერება მინერალური წყლით მკურნალობის 4 პერიოდს ითვლის: **მისტიკურს, ემპირიულს, მეცნიერულს და მეცნიერულ-ექსპერიმენტალურ პერიოდებს.** ამ თვალსაზრისით ბორჯომის მინერალურ წყალს სამკურნალოდ გამოყენების მისტიკური პერიოდი მიეკუთვნება, ჩვენ ერის განვითარების უძველეს ხანას, პირველყოფილი ადამიანის ცხოვრების პერიოდს, როდესაც ბუნების მოვლენებზე მათი წარმოდგენა ღვთაებრივ ძალას უკავშირდებოდა, ბორჯომის მინერალური წყლების შესწავლის მისტიკური პერიოდი ძველი წელთაღრიცხვის საუკუნეებს უნდა მივაკუთვნოთ. სამწუხაროდ, ამ პერიოდის მატერიალური და არქეოლოგიური დასაბუთება არ მოგვეპოვება.

ბორჯომის მინერალური წყლის სამკურნალოდ გამოყენების ემპირიული პერიოდი მიეკუთვნება ჩვენ წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებიდან XVI საუკუნემდე და XIX აუკუნის 20-იან წლებიდან 50-იან წლებამდე პერიოდს 1912-1913 წლებში ბორჯომის №1 მინერალური წყაროზე ჩატარებული საკაპტაჟო სამუშაოების დროს აღმოჩენილი პირველყოფილი აბაზანის ნაშთები მოგვითხრობენ ადამიანების მიერ ბორჯომის წყლის ამ მეთოდით გამოყენებას. აქ არ შეიძლება გამორიცხული იყოს ქართველი ექიმბაშების გარკვეული როლი, რომელთა რჩევა-დარიგება ატარებდა ემპირიულ, (პრაქტიკული დაკვირვებიდან გამომდინარე) ხასიათს.

XIX საუკუნის 20-ან წლებიდან იწყება მინერალური წყლებით სარგებლობის ერთეული შემთხვევები, რომლებიც ასევე ემპირიულ ხასიათს ატარებდნენ ყოველგვარი წესების დაცვის გარეშე, (ვინც როგორ ჩათვლიდა საჭიროდ, სამედიცინო მეთვალყურეობის გარეშე. არ იზომებოდა წყლის ტემპერატურა, პროცედურის მიღების ხანგრძლივობა, მკურნალობის კურსი და ა.შ.

ბორჯომის მინერალური წყლების მეცნიერულ-ბალნეოლოგიური პერიოდი, ქრონოლოგიურად ემთხვევა კურორტის აღორძინების (1844-1854 წ.წ.) და განვითარების (1963-1900 წ.წ.) პერიოდებს, როდესაც დაიწყო მინერალური წყლების ფიზიკურ-ქიმიური თვისებების დეტალური შესწავლა, ჯერ კურორტის პირობებში და შემდეგ რუსეთის ცნობილ კლინიკებში.

ყოველივე ამის შედეგია 1900 წელს გამოქვეყნებული 16 სადოქტორო დისერტაცია, 24 მონოგრაფია და მრავალი სტატია, რომლებმაც მნიშვნელოვნად აამაღლეს კურორტის ავტორიტეტი.

ბორჯომის მინერალური წყლების მეცნიერულ-ექსპერიმენტური პერიოდი მიეკუთვნება XX საუკუნეს, როდესაც ბალნეოლოგიურ მეცნიერებაში დაინერგა შინაურ ცხოველებზე ოპერაციული მეთოდებით მინერალური წყლების ორგანიზმებზე მოქმედების საკითხების შესწავლა. აღნიშნულ პერიოდში ბალნეოლოგიურმა მეცნიერებამ ტრიუმფალური შედეგებს მიაღწია.

ამგვარად, ბორჯომის მინერალური წყლების სამკურნალოდ გამოყენებას დიდი და ხანგრძლივი ისტორია გააჩნია, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მეცნიერულ-ბალნეოლოგიურ პერიოდს - 1844-1900 წლებს. სულ პირველი სამეცნიერო ნაშრომი ეკუთვნის სამხედრო ექიმს ლეიბმედიკს სოლომონ ამიროვს, რომლის სახელსაც ატარებდა ბორჯომულაზე გადებული პირველი ხიდი. მან პირველმა აღწერა ბორჯომის მინერალური წყლების სამკურნალო თვისებები, შეიმუშავა მკურნალობის ეფექტური მეთოდები სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ, ჩვენებები, უკუჩვენებები, რეკომენდაციები და სხვა. იგი ემყარებოდა 13 წლიან მეცნიერულ დაკვირვებებს ჩატარებულს უშუალოდ კურორტის პირობებში. სამხედრო მოსამსახურეებზე და სამოქალაქო პირებზე. ასე დაიწყო ბორჯომის მინერალური წყლების სამკურნალო თვისებების შესწავლა.

ბორჯომის მინერალური წყლების სამკურნალო თვისებების ბალნეოლოგიურ-მეცნიერული ანალიზი, აუცილებელი პირობაა შეცდომების თავიდან ასაცილებლად.

საკამათო არაა ბორჯომის ხეობის მინერალური წყლების ხანდაზმულობის და მისი მეცნიერულად შესწავლის საკითხები. სამხედრო ექიმ ს. ამიროვამდეც წარმოებდა ბორჯომის მინერალური წყლების პრიმიტიული ემპირული მეთოდებით მკურნალობა, რომელიც ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა და რომელიც არ იმსახურებს სერიოზულ ყურადღებას, რადგანაც ისინი მოკლებულია მეცნიერულ შესწავლას, საფუძვლიან სამედიცინო დაკვირვებებს და ლაბორატორიულ გამოკვლევებს.

საქართველოს რუსეთთან შეერთების ფაქტი ისტორიული რეალობაა და რუსეთის საქართველოზე უარყოფითი ზემოქმედება არავის ეჭვქვეშ არ დაუყენებია. ამ ნეგატიური მოვლენით არ შეიძლება უარყოფილ იქნეს კურორტ ბორჯომის დაარსების და მისი შემდგომი აღმავლობა-განვითარების საკითხი. ეჭვს არ უნდა ბადებდეს ის ფაქტი, რომ ბორჯომის, როგორც კურორტის დაარსებაში და განვითარებაში მთვარი როლი ნაწილის მებრძოლებზე და ერთდროულად მკურნალობდა სამოქალაქო პირებსაც. დაკვირვებებიდან გამომდინარე, მკურნალობის კარგი შედეგი მიიღო მენსტრუალური ციკლით დატანჯულ ქალებში (120 ავადმყოფიდან განკურნა 90 და მდგომარეობა გაუუმჯობესდა 30 შემთხვევაში). სწორედ ამან გააბედინა სამხედრო ექიმს ს. ამიროვს შეეთავაზებინა კავკასიის მმართველისთვის მისი ავადმყოფი ქალიშვილის ეკატერინეს ბორჯომში მკურნალობა.

მოამზადა ვალერიან ლომაძემ.
(გაგრძელება იქნება)

კულტურის ცხოვრება

ქართული კულტურის ქრონიკები საბჭოთა ოკუპაციის წლებში

28 მარტს, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში თეატრმცოდნე **ნიკოლოზ წულუკიძემ** და მხატვარმა **გია გუგუშვილმა** დამსწრე საზოგადოებას საინტერესო მოხსენებები წაუკითხეს. მოხსენების თემები კი გახლდათ „ქართული კულტურა დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში 1918-1921“, „ოკუპაცია და ქართული რეალობა 1937 წელი“ და „მხატვარი და იდეოლოგია“.

შეხვედრის პირველ ნაწილში **ნიკოლოზ წულუკიძემ** საოცრად საინტერესოდ წარმოადგინა ქართული კულტურა დამოუკიდებელი საქართველოს წლებში. მან ისაუბრა სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების ისტორიაზე, პირველ ქართულ ფილმზე, ასევე ისეთ სახელოვან პიროვნებაზე, როგორიც გახლდათ ნიკო ნიკოლაძე, რომლის სახელიც ბორჯომელთათვის ნამდვილად საამაყოა. ახალგაზრდებისათვის მოულოდნელი აღმოჩდა ის ფაქტი, რომ სწორედ ნიკო ნიკოლაძის სახელს უკავშირდება ეიფელის ხიდის ბორჯომში ჩამოტანის ისტორია, რომლითაც ასე ვამაყობთ ბორჯომელები. როგორც ბატონმა ნიკოლოზ წულუკიძემ თავის მოხსენებაში აღნიშნა, სწორედ ბატონი ნიკო გახლდათ ის პიროვნება, რომელმაც ეიფელის კოშკის გახსნის აღსანიშნავად შექმნა სისტემა, რომელიც მთელ პარიზს გაანათებდა ერთი ღილაკის თითის დაჭერით და სწორედ აღნიშნული პროექტიდან მიღებული ჰონორარით ჩამოიტანა მან ეიფელის ხიდის კონსტრუქცია, რომელიც ბორჯომი-ცემიბაკურიანის დამაკავშირებელ რკინიგზას ამშვენებს.

მეორე ნაწილში **მხატვარმა გია გუგუშვილმა** დამსწრე საზოგადოებას საკუთარი ნამუშევრები წარუდგინა. საოცრად საინტერესოდ წარმოადგინა მოხსენება მხატვრის იდეოლოგიის შესახებ. მან სრულიად ახლებურად დაგვანახა მხატვრის განსხვავებული და იდუმალებით მოცული სამყარო.

ყველაზე მნიშვნელოვანი და ემოციებით დატვირთული კი საღამოს მესამე ნაწილი გახლდათ, როდესაც დოკუმენტური ფილმი **„სანდრო ახმეტელი 135“** უჩვენეს. ფილმის ხანგრძლივობა ერთი საათი გახლდათ და მასში დეტალურადაა მოთხრობილი ეროვნული თეატრის ფუძემდებლის, ნოვატორის, ნამდვილი გენიოსის, მსოფლიო დონის რეჟისორის სანდრო ახმეტელის შესახებ. დოკუმენტურ ფილმში მონაწილეობენ სანდრო ახმეტელის შვილიშვილი მანანა ახმეტელი, რეჟისორები რობერტ სტურუა, ავთო ვარსიმაშვილი, რევაზ შატაკიშვილი, თეატრმცოდნე ნიკოლოზ წულუკიძე. ფილმში მრავლადაა სავსე დოკუმენტური მასალები, რაც კიდევ უფრო მრავალფეროვანსა და საინტერესოს ხდის მას. საღამოს უფროსკლასელები, პედაგოგები, ხელოვნების წარმომადგენლები და უბრალოდ რიგითი მოქალაქეები ესწრებოდნენ.

დიდი მადლობა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიას ასეთი საჭირო და ნამდვილად აუცილებელი ღონისძიების მხარდაჭერისა და ორგანიზებისათვის.

P.S **სამწუხაროდ, მე პირადად დამაკლდა მაყურებელთა და დამსწრე საზოგადოების ემოციები, ოვაციები. ბორჯომელი მაყურებლისაგან უფრო მეტი პატივისცემის გამოხატვა იყო საჭირო.**

ნატო მელიქიძე

წარჩინებულ ახალგაზრდებს კომპიუტერები გადაეცათ

ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დარბაზი სასკოლო საზოგადოებით შეივსო, რადგან მნიშვნელოვანი დღე ჩაინიშნა 30 მარტს წარჩინებულ მოსწავლეთა დღის წესრიგში. ბორჯომის მუნიციპალიტეტის 14 საჯარო სკოლიდან საბაზო საფეხურის VII-VIII-IX კლასებში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე 64 მოსწავლესთვის პერსონალური კომპიუტერების გადაცემის ცერემონია აკადემიურად აღინიშნა. რატომაც არა, როცა გვყავს მომავალი თაობა, რომლებმაც იშრომეს, ისწავლეს, გამოწვევებს გაუმკლავდნენ და „კენწეროში გაუტკბილდათ“ მიღებული ცოდნა, დახარჯული დრო. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უკვე ათეული წელია გასცემს მაღალქულოვანი მოზარდებისთვის ლეპტოპებს. აღნიშნული პროექტი ერთგვარი გარეგანი მოტივაციაა, რადგან მსგავსი წახალისება ტექნოლოგიურ ეპოქაში სწავლის თანაბარ პირობებს სთავაზობს. პანდემიამ კი ყველაფერი დროებით დაამუხრუჭა, თუმცა ახლა დადგა ეს სანატრელი დღეც.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი, იზოლდა ლომიძე:

- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უკვე კარგა ხანია ახორციელებს საბაზო საფეხურის ნიჭიერი მოზარდებისთვის თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვის პროექტს. ჩვენს მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად მზარდია ეს ციფრი და წელს უკვე დამაიმედებელი შედეგი გვაქვს. მადლობას მოვახსენებ აქვე ჩვენი მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოს აქტიური თანამშრომლობისთვის. აქვე იმ სიახლეების ჩამონათვალს მოგახსენებთ, რაც მიმდინარე, ან უახლოეს პერიოდში განხორციელდება: კორტანეთის საბაზო საფეხურის სკოლა უკვე საშუალო საფეხურის ხდება, დაემატა X, XI და XII კლასები, ლიკანის საჯარო სკოლას ჩაუტარდება რეაბილიტაცია, ხოლო მალევე ამავე მიზეზით დაიწყებენ სკოლის შენობის მოწესრიგებას №6 საჯარო სკოლაშიც; ბალანთის საჯარო სკოლას ჰყავს ახალი დირექტორი - ბატონი **ილია ბერძენიშვილი**, რომელსაც წარმატებებს ვუსურვებთ ახალ საქმეში.

ბორჯომის მერი, ოთარ არბოლიშვილი: მეამაყება, ამდენ გახარებულ ახალგაზრდას რომ ვხედავ. ჩვენ ყოველთვის ვეცდებით მათ მაქსიმალურად დავუდგეთ გვერდით და გავიზიაროთ მათი სამომავლო იდეები. სულ წინ გევლოთ და წარმატებებისთვის მიგელწიოთ იმ სფეროში, რასაც აირჩევთ. ჩვენ ქალაქს სჭირდება ბევრი განათლებული ადამიანი!

საკრებულოს თავმჯდომარე, დავით ხალიშვილი: უღრმესი მადლობა ქალბატონო იზო ამ ღონისძიების ინიციატივისთვის. ჩვენი მომავალი ნამდვილად სახეზეა: პედაგოგების დიდი შრომის დამსახურებაა ასეთი ახალგაზრდები. ბორჯომის საკრებულო ყოველთვის ხელს შეუწყობს ყველა მოსწავლეს წინსვლაში. თქვენ თუ ასე გააგრძელებთ, წინ დიდი შესაძლებლობები გაქვთ. ჩვენი მხრიდან, გპირდებით სტუდენტობისას წარჩინებული სწავლისთვის ფინანსურ წახალისებას!

64 თვალსაჩინოებული მოსწავლე დღეს სრულიად ახლებურად მოტივირებულები დავინახეთ, თავიანთ პედაგოგებთან ერთად ისინი ხვალიდან ისევ ყოველდღიურ რუტინაში შეეცდებიან უკვე ოქროს მედლებისკენ გაიკვალონ გზა. სადაც განათლებას ვახსენებთ, იქ ურიგო არ იქნება ილია ჭავჭავაძის ხსენება. როცა ის თავის ცნობილ ლექსში - „ჩემო კარგო ქვეყანავ“ მთავარ იმედს ამყარებს მომავალ თაობაზე:

„ღვრილ-შვილნი წამოგესწრნენ ნაზარდნი, გულმტკიცები,
მათის ზრუნვის საგანი შენ ხარ და შენ იქნები,
არ გიმტყუნებენ შენა, თუკი მათ მიეხლები.
მათის ღვაწლით შეგექმნეს სახე ბედით მთენია,
ჩემო თვალის სინათლევ, რაზედ მოგიწყენია?“

მონიკა ჟანტურია

გამოჩენილი ქართველი სელექციონერი

მინდა ჩვენი გაზეთის მკითხველს გავახსენო გამოჩენილი სელექციონერები 1900 წლიდან სოფელ რველში მცხოვრები მამა-შვილი გიორგი და მიხეილ თაქთაქიშვილები, რომლებსაც უდიდესი წვლილი მიუძღვით რაიონში და მთლიანად საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში.

მიხეილ თაქთაქიშვილი, დავით თხელიძე და გიორგი თაქთაქიშვილი

გიორგი თაქთაქიშვილი დაიბადა 1876 წელს ქვემო ხვითში, საშუალო განათლება მიიღო ქ. თბილისში. 1900 წელს დასახლდა სოფელ რველში და დაიწყო სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ზრუნვა, სწავლობს სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურას, მან პირველმა შემოიტანა რაიონში კურკოვანი და საბოსტნე კულტურები. XX საუკუნის 20-იანი წლებიდან ბატონი გიორგი იმ დროისათვის აპრობირებული მონინავე მეთოდების გამოყენებით ანვითარებს სასელექციო მუშაობას, თანდათანობით აუმჯობესებს და აკრცელებს რაიონში მის მიერ გამოყვანილი ხილის, ბოსტნეულისა და ბაღჩეული კულტურების ჯიშებს.

1938 წელს გიორგის შვილმა მიხეილმა დაუსწრებლად დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, ამავე დროს ეხმარება მამას ახალი ჯიშების გამოყვანაში.

1940 წელს ბორჯომის რაიონს 18 კოლმეურნეობამ მონაწილეობა მიიღო საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში, სიმინდისა და ხორბლის მაღალი მოსავლისათვის გამოფენაში მონაწილეობდა რველის კოლმეურნეობაც. სამი წლის განმავლობაში ჰექტარზე საშუალო 16 ცენტნერის ნაცვლად მიღებული იქნა 18 ცენტნერი მარცვლეული. კოლმეურნეობაში სწრაფად განვითარდა საზოგადოებრივი მეურნეობა. საზოგადოებრივი სარგებლობის მიწები 135 ჰექტარიდან 916 ჰექტრამდე გაიზარდა.

რველის კოლმეურნეობაში აწარმოებდნენ მარცვლეულის, კარტოფილის, ბოსტნეული, მარწყვისა და სხვა კულტურებს. კომეურნეობაში ძირითად წამყვან დარგად გადაიქცა მეცხოველეობა და მებაღეობა-მებოსტნეობა.

როდესაც ვლაპარაკობ რველის კოლმეურნეობის ავ-კარგზე, არ შეიძლება არ აღვნიშნო იმ დიდ ჩატარებულ მუშაობაზე, რაც აღნიშნულ კოლმეურნეობაში გააკეთეს ამ კოლმეურნეობის წევრებმა, სელექციონერებმა **გიორგი და მიხეილ თაქთაქიშვილებმა.**

ბატონმა გიორგი თაქთაქიშვილმა 1900 წლიდან დაწყებული სხვადასხვა დროს სოფელ რველში შემოიტანა და გამოცადა ვაშლის - 18 ჯიში, მანვე გამოცადა მსხლის, ქლიავის, ბლის, ალუბლის და ატმის ჯიშები. გიორგი თაქთაქშვილის დამსახურება მეხილეობაში გამოიხატება ჯიშების გამოცდაში და შემდეგ ამ ჯიშებს სანამყენე მასალით კოლმეურნეობების მომარაგებაში. განსაკუთრებით თვალსაჩინოა გიორგი თაქთაქშვილის მიღწევები მებოსტნეობაში. მან, როგორც პრაქტიკოსმა სელექციონერმა მუშაობა აწარმოა ბოსტნის 9 კულტურაზე: ჭარხალზე, სტაფილოზე, გოგრაზე, კომბოსტოზე, ხახვზე, პამიდორზე, საზამთროზე, ნესვზე, ლობიოზე.

1939-1940 წლებში საკავშირო გამოფენაზე მებოსტნეობის პავილიონის ღია ნაკვეთზე ითესებოდა თაქთაქიშვილების ჯიშები: ხახვი - „რეკორდი“, ჭარხალი - „ქართული“, სტაფილო - „მესხეთი“, კომბოსტო - „ბორჯომის იდეალი“, პამიდორი - „მუზარადი“ და „რველი №1“.

თაქთაქიშვილებს გამოყვანილი ჯიშებით მოსავალი მოჰყავდათ ჩკალოვის ოლქის სატყეო სანერგეებში, კრასნოდარის მხარეში, გორკის ოლქში, კუნძულ სახალინზე და სხვაგან.

ბორჯომის რაიონში განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიაქციეს გიორგი თაქთაქიშვილის მიერ გამოყვანილი და გაუმჯობესებული ჯიშების დანერგვას და მეთესლეობის საქმის ორგანიზაციას.

გიორგი თაქთაქიშვილი მრავალჯერ იყო საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე. მთავარმა საგამოფენო კომიტეტმა 1939 წელს გამოფენაზე მონაწილეობისათვის ბატონი გიორგი დააჯილდოვა საპატიო სიგელით და ვერცხლის მედლით. საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე გიორგი თაქთაქშვილი წარდგენილი იყო 1952-1954 წლებშიც, აქ მან ოქროს მედალი და ქების სიგელი დაიმსახურა.

1958 წლის სექტემბერში სასოფლო-სამეურნეო გამოფენის პავილიონში **„კარტოფილი და ბოსტნეული“** გიორგი თაქთაქიშვილმა წარადგინა პამიდორის, კომბოსტოს, ხახვის, ჭარხლისა და სტაფილოს თავისი გამოყვანილი საუკეთესო ექსპონატები, როსთვისაც ჯილდოდ მიიღო პირველი ხარისხის ატესტატი და ვერცხლის დიდი მედალი.

გიორგი თაქთაქშვილი იყო რამდენიმე პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, კითხულობდა ლექციებს კოლმეურნეობებში აგრონომის აქტუალურ საკითხებზე, თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის კოლეგიამ „1960 წელს გ. თაქთაქშვილი დაჯილდოვა „საქართველოს სოფლის მეურნეობის“ წარჩინებულის ნიშნით, ხოლო შემდგომ მას საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიანჭა დამსახურებული აგრონომის წოდება.

გ. თაქთაქშვილი იყო თავისი სამშობლოს და ხალხის ერთგული შვილი, რისთვისაც ხალხის სიყვარულითა და ღრმა პატივისცემით სარგებლობდა.

როსტომ ყველიაშვილი,
ისტორიკოსი.

ბორჯომის მერიის წარმატებული სტუდენტების წახალისების პროგრამა

ბორჯომის მუნიციპალიტეტის სტუდენტთა წახალისების პროგრამის ფარგლებში, 2022-2023 სასწავლო წლის პირველი სემესტრის საბაკალავრო პროგრამების 41 წარჩინებულ სტუდენტს ფულადი ჯილდო ჩაერიცხათ.

ფულადი ჯილდო ერთ წარმატებულ სტუდენტზე სემესტრში 1000 ლარს შეადგენს.

ფულადი ჯილდო გაიცემა სტუდენტზე, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

- **არის საქართველოს მოქალაქე;**
- **განცხადების შემოტანის მომენტისთვის მინიმუმ ბოლო ექვსი თვის განმავლობაში რეგისტრირებულია ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე;**
- **ბორჯომის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლაში გავლილი აქვს სწავლების არანაკლებ 9-წლიანი კურსი;**
- **არის ბაკალავრის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი;**
- **სემესტრის განმავლობაში გავლილ ყველა სალექციო კურსში აქვს არანაკლებ 91-100 ქულა (კატეგორია - ფრიადი);**
- **აქვს სტუდენტის აქტიური სტატუსი.**

ჯილდოს მისაღებად წარსადგენი დოკუმენტები:

- **პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;**
- **ბორჯომის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლაში არანაკლებ 9 წელი სწავლების კურსის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი;**
- **ამონაწერი ბორჯომის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის შესახებ;**
- **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი/ამონაწერი სემესტრში გავლილი საგნებისა და შეფასებების შესახებ (ნიშნების ფურცელი).**
- **საბანკო რეკვიზიტები.**

ვულოცავთ!

ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი მამა გერასიმე, მისი მრავალრიცხოვანი მრევლი ულოცავენ მამა ილარიონს მერვე შვილის და ასევე ბებია სვეტა კოსს შვილიშვილის შაქენას.

მშობლების და ბაბუას სიამაყეს, IX კლასის წარჩინებული მოსწავლეს, სხვადასხვა ცურებში გამარჯვებულს, ყველასათვის საყვარელ **ანანიკას გელიძეს** გულწრფელად ვულოცავ დაბადების 15 წლის იუბილეს, ვუსურვებ ჯანმთელობას, ღიღსანს სიცოცხლეს, ბედნიერ მომავალს, სწავლაში წარმატებას.

მისადმი დიდ სიყვარულს გამოვხატავ ლექსით, რომელიც მის იუბილეს მივუძღვენი.

საგნემთან ჯიდილში

ახლოვდება მარტის თვე და
მინდორ-ველი გამწვანდება,
ველოდები დაბადების დღეს და
გული სიხარულით მევსება.
შვილიშვილი ქეთევანი
დედის პირველი შვილია,
თხუთმეტ რიცხვში მოგვევლინა
ოჯახის საყვარელია.
თხუტმეტ რიცხვში ვიზეიმებთ
გახდები თხუთმეტი წლისა,
ვულოცავთ და ვეფერებით
ჩემს საყვარელ შვილიშვილსა.
ქებით ხარობს და ხალისობს
სკოლაში კარგი სწავლითა.
მოწინავეთა რიგში დგას,
ფასდება წარჩინებითა.
ენერგიული, ბეჯითი,
დიდი მონდომების მქონე,
ბაბუს მუდამ ენატრები,
ხშირად შენი სიყვარულით.

სერგო მელიქიძე.

ვეტერანი პოზიციებს არ თმობს

ჩვენი გაზეთის მიმდინარე წლის 9 მარტის ნომერში გამოქვეყნდა წერილი სათაურით „მშობლები შვილების წარმატებით ხარობენ“. წერილში მოთხრობილი იყო არა მარტო ბორჯომის მუნიციპალიტეტში, არამედ საქართველოში და მის ფარლებს გარეთაც კარგად ცნობილ **ელგუჯა და ადა ორჯონიკიძეების** დიდებულ ოჯახზე, მათი შვილების წარმატებულ კარიერაზე, როგორც სპორტში, ისე ბიზნესსა და საჯარო სამსახურში მიღწეულ აღიარებებზე.

ბატონ ელგუჯას ახლახანს 87 წელი შეუსრულდა, სოლიდური ასაკის მიუხედავად დღესაც მხნედ გამოიყურება და ვეტერან სპორტსმენთა შორის თითქმის ყოველწლიურად ასპარეზობს საერთაშორისო ტურნირზე ევროპის ცნობილ სათხილამურო ტრასებზე.

14-16 იანვარს ავსტრიაში გამართულ შეჯიბრებაში, სადაც 200-მდე ვეტერანი სპორტსმენი ასპარეზობდა, სუპერ გიგანტში მეორე, ხოლო სლალომში - მესამე ადგილი დაისაკუთრა, ხოლო 17-18 თებერვალს იტალიაში ურთულეს ტრასებზე კვლავ მეორე-მესამე ადგილები დაისაკუთრა.

სულ ახლახანს, 20-25 მარტს ავსტრიის ქალაქ გოსტლინგში მსოფლიო სათხილამურო ფედერაციის FIS-ის ეგიდით სამთო-სათხილამურო სპორტსმენთა შორის მსოფლიო ჩემპიონატში 22 ქვეყნის 120 ვეტერანი მონაწილეობდა. ბატონმა ელგუჯამ აქაც ივაჟკაცა და სლალომში მესამე ადგილი დაისაკუთრა.

ვულოცავთ ვეტერან სპორტსმენს მოპოვებულ წარმატებებს.

ვალერიან ლომიძე.

ბზობა

კვლავ გაზაფხულია, გზას ადგას უფალი,
მიიკვლევს ძმვიდად და მიიკვლევს დიდებით,
ის კარიბჭეზე ზის მდაბლად, მორჩილად,
წინ ეგებებიან ბავშვებიც, დიდებიც.

იციან, იგია, მჯდარი სახედარზე,
ქვეყნის შემოქმედი, ყოველთა ძლიერი,
გუშინ აოადგინა გაბრწყინილი ლაზარე,
და მკვდარს დაუბრუნა სიცოცხლის იერი.

იერუსალებად უფენენ გზის ტოტებს,
ყიჟინას დასცემენ: ოსანა მაღალთა,
ის ყოვლისმცოდნეა, იცის, რომ ხუთ დღეში
გასცემენ, მისცემენ ტანჯვისთვის წარმართთა.

თუმც დღეს ადიდებენ, არ გაუჭირდებათ,
ახლა სხვა იყვირონ: ჯვარს აცვ თვითმარქვია,
მას თავის ხალხზე დარდი კვალს, ნაღველი,
ამ ღალატს, მზაკვრობას, სახელიც არ ჰქვია.

როგორ ენანება თავისი შექმნილი,
ხედავს, რომ ავი მგლის ხახაში ვარდება,
იერუსალემო, რად უმტრე იესოს,
დამხობილს განახავენ, გეენება მსჯავრდება.

ღმერთი, ყოვლისშემძლე, კვლავ მოვა დიდებით,
თუმც მანამ იქნება კაცთათვის გამოცდა,
ადამი აოდგება, აოდგება ღვთის ხატად,
თუ ეშმაკს დაუძვრა, თუ ეშმაკს გამოცდა.

ბზით სავსე ტაძრის გზას მიჰყვება უფალი,
გზას ბზა და ბაია უმშვენებს ნაპირებს,
უფალო შეგვინდეგ, უფალო იცოდე,
რომ ჩვენ სინახულით გახბანას ვაპირებთ,
კვლავ შენი შეგვევნით, ძალლით და შენდობით
ცოდვას და განსაცდელს შორს გავისაპირებთ.

ოლიკო ლომიძე,
ექიმი.

გაზაფხულდა
„სანამ ქვეყნად გაზაფხული იქნება“

წაღვერის კულტურის სახლი გაზაფხულს „სანამ ქვეყნად გაზაფხული იქნება“ კონცერტით შეეგება.

მოლოდინი, რომელიც მსმენელსა და მონაწილეებს შორის გახლდათ - გამართლდა, ყოველ წუთს გულწრფელ ემოციებს იღებდა მაყურებელი და პირიქით, ულამაზესი მონაწილეები ულამაზესი ფორმებით.

კონცერტი მოიცავდა სხვადასხვა ჟანრის ნომრებს, რომელშიც მონაწილეობდნენ ადგილობრივი ჯგუფები და ანსამბლები.

მადლობა ჩემს ნიჭიერ გუნდს, ერთობისათვის, გუნდურობისათვის, კარგი შედეგისათვის. მხოლოდ წინსვლა, წარმატებები და მრავალი ბედნიერი და კმაყოფილი სახე დაგბედეოდეთ. დიდი მადლობა მობრძანებულ სტუმრებს ასეთი ემოციებისათვის და დადებითი მუხტისთვის, - აღნიშნა წაღვერის კულტურის სახლის დირექტორმა ქალბატონმა **დალი ქასაშვილმა.**

ღონისძიებას ესწრებოდნენ სსიპ „ბაკურიანის განვითარების სააგენტო“-ს თავმჯდომარე **ეკატერინე ორჯონიკიძე,** ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორი **გაიოზ დვალიშვილი,** ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, მოწვეული და ადგილობრივი სტუმრები.

მქუხარე აპლოდისმენტების ფონზე კონცერტმა წარმატებით ჩაიარა. წაღვერის კულტურის სახლს ყოველთვის დაუვიწყარი ემოციებით და უკან დაბრუნების დიდი სურვილით ვტოვებ.

ქალბატონი დალი ქასაშვილის ემოციურ ჩანაწერებს ხშირად ვკითხულობ, რომელიც ამჯერად, ჩვენს მკითხველსაც მინდა გავუზიარო ანსამბლ „სამეფო“-ზე და მუდამ წარმატებები ვუსურვოთ ჩვენს კულტურულ ღირებულებებზე მზრუნველ ქალბატონს ხელოვნების სადარაჯოზე ახალგაზრდების საიმედოდ:

- როგორ არ უნდა ვიყო პიზიტიურ ხასიათზე, როცა სამსახურში მოსულს ასეთი საოცრება დამხვდა მაგიდაზე. ეს ანსამბლ „სამეფოს მორიგი გვირგვინია, ამჯერად სავიზიტო ბარათი, რომელიც დაამშვენებს ცეკვა ქართულის სოლისტს, მადლობა გიორგი ანთიას. რა უნდა გითხრა განსაკუთრებული აღარ ვიცი, მხოლოდ ერთს გეტყვი, სულ წინ იარე და არც ერთი ნაბიჯით უკან. წარმატებებს ვუსურვებ ჩვენს მოცეკვავეებს, „სამეფო“ ამართლებს სახელწოდებას.

იზა იანეარაშვილი

საგაზაფხულო კონცერტის მრავალფეროვნება

30 მარტს ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ ქორეოგრაფიული და ვოკალური ანსამბლები:

ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებული: ქორეოგრაფიული ანსამბლი „იმედი“ (ხელმძღვანელი თეა გაბელაია); ქორეოგრაფიული ანსამბლი „ფერხისი“ (ნინო მდივნიშვილი); თანამედროვე და სპორტული ცეკვების ჯგუფი „სილუეტი“ (გოგი და ხატია ხიდირბეგიშვილები); საესტრადო სტუდია „ნიბლია“ (რობერტ ნადირაძე); ბორჯომის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან არსებული ვოკალური სტუდია „ონავრები“ (თამარ კუჭაძე); წაღვერის საქალაქო კულტურის სახლთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი „სამეფო“ (გიორგი ანთია).

კონცერტი მაყურებელმა ოვაციებით დაავჯილდოვა.

მოსახლეობის საყურადღებოდ!

ლიკანის მიმართულებას კიდევ ერთი მუნიციპალური ავტობუსი დაემატება.

ბორჯომის მუნიციპალიტეტისა და ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ტრანსპორტის“ ხელმძღვანელობამ დააკმაყოფილა მოსახლეობის თხოვნა და 3 აპრილიდან ლიკანის მიმართულებას ავტობუსი დაემატება.

საზოგადოებრივი ტრანსპორტის დირექტორის **დიმიტრი ყიფიანის** განცხადებით, გათვალისწინებული იქნა ადგილობრივების თხოვნა და ერთი საათის ნაცვლად ყოველ ნახევარ საათში იმოძრავებს ავტობუსი.

დვირის საჯარო სკოლის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

არჩილ პაპიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59

რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.

გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2 ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში“. თბილისი, თეიდორე მღვდლის №57.

borjomi@inbox.ru **რედაქტორი:** ვალერიან ლომიძე